სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ანგარიში

2023 წელი

სარჩევი

შესავალი **3**

განხორციელებული საქმიანობის პროგრესი **4**

შედეგების შეჯამება **7**

შესავალი

2022 წლის 14 სექტემბრის №1.1/91 ბრძანებით დამტკიცდა „სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტრატეგიული განვითარების გეგმა“. აღნიშნული გეგმა შესაბამისობაშია 2022 წლის 31 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული 2022-2030 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიასა და 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმასთან, ასევე გაეროს მდგრადი განვითარების 2030 დღის წესრიგთან და ემსახურება დარგობრივი მიმართულების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას და შესაბამისად, განათლების მართვის სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირებით უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სფეროს მდგრად განვითარებას.

სტრატეგიული გეგმა შემუშავდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა), მონაცემთა ინტეგრაციისა და ანალიტიკური სისტემების დიაგნოსტიკური შეფასების შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, რომელიც მომზადდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის - ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი - საქართველოს (Georgia I2Q) ფარგლებში. პროგრამის „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q (IBRD)“ 4.1 ქვეკომპონენტის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მართვის სისტემის დიაგნოსტიკური კვლევის განხორციელებასთან ერთად, პროექტი ითვალისწინებს EMS (საგანმანათლებლო საინფორმაციო მართვის სისტემა) შემუშავებას და განვითარებას სკოლამდელი და ზოგადი განათლებისთვის; მართვის სისტემის შესაძლებლობების გაძლიერების დიზაინის შემუშავებას და დანერგვას და ზოგადი განათლებისთვის სწავლა-სწავლების მართვის (LMS) სისტემის დიზაინისა და დანერგვის, ტექნიკური დავალებების შემუშავებას.

აღნიშნული გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების ვალდებულება, ასევე გათვალისწინებულია საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამით (HCP), რომლის ფარგლებშიც მსოფლიო ბანკი და საფრანგეთის განვითარების სააგენტო მხარს დაუჭერს საქართველოში ადამიანური რესურსების სტრატეგიის განხორციელებასა და რეფორმებს განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და დასაქმების სექტორებში შედეგებზე ორიენტირებული პროგრამის საშუალებით.

მართვის სისტემის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს მიმდინარე სიტუაციის ანალიზს და განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს შემდეგ სფეროებში: ორგანიზაციული განვითარება, ტექნოლოგია და პროგრამული უზრუნველყოფის არქიტექტურა, სისტემების განვითარება, მონაცემთა მართვა, ციფრული განათლების მხარდაჭერა, ასევე შესაბამისი საქმიანობის განხორციელების 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმას.

განხორციელებული საქმიანობის პროგრესი

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2022-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შემდგომი პერიოდის ანგარიშს და აერთიანებს 2022 წლის ბოლო სამი თვისა და 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ძირითადად პასუხისმგებელია მართვის სისტემის შესაბამისი სამსახურები, თუმცა გარკვეული აქტივობები წარმოადგენს მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს.

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ვინაიდან სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რიგი ვალდებულებების შესრულება ხორციელდება მსოფლიო ბანკის კოორდინაციით და მხარდაჭერით, მათი შესრულების ვადები დამოკიდებულია დონორი ორგანიზაციის მიერ საქმიანობის წარმართვაზე, კერძოდ პროექტით - „ინოვაცია, ინკლუზია და ხარისხი - საქართველო (Georgia I2Q)“ გათვალისწინებული, ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განახლებისა და ზოგადი განათლებისთვის სასწავლო პლატფორმის (LMS) შექმნის მიზნებისთვის საერთაშორისო ტენდერების გამოცხადება და მათი განხორციელების დაწყება, სრულად დამოკიდებულია დონორის კოორდინაციაზე. ამ პროცესის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაც, დამოკიდებულია პროექტის ფარგლებში დონორის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების ვადებზე. თავის მხრივ მართვის სისტემა უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში პროცესის მხარდაჭერას, ყოველ მიმდინარე ეტაპზე.

მართვის სისტემის საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, 2022 წლის ბოლოს, გეგმის შესაბამისად, მართვის სისტემის მხრიდან ინიცირებულია საკოორდინაციო ჯგუფის ფორმირება. მომზადდა და სამინისტროში შესათანხმებლად გადაიგზავნა საკოორდინაციო ჯგუფის დებულების პროექტი.

სამოქმედო გეგმა 2022-2025

აქტივობები:

- **საწარმოო არქიტექტურის EA, მონაცემების და დომეინის მოდელის შექმნა/დანერგვა**

განხორციელდება ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შემუშავების პროცესში.

- **eSchool-ის განახლების ტექნიკური დავალების შემუშავებაში მონაწილეობა.**

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის, „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტის - საქართველო I2Q (IBRD)“ ფარგლებში, მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა, მართვის სისტემასთან მჭიდრო კოორდინაციით, შეიმუშავეს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განახლების ტექნიკური დავალება (ToR). საერთაშორისო ტენდერი გამოცხადებულია და მიმდინარეობს გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის პროცესი.

- **eSchool-ის მიმდინარე სისტემის მხარდაჭერა/განვითარება**

მიმდინარეობს არსებული ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) აქტიური ტექნიკური მხარდაჭერა და ხარვეზების აღმოფხვრა. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შემუშავდა შემდეგი მოდულები:

- დეკრეტული შვებულების ბიულეტენის/შვებულების მოდული;
- „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის N241 დადგენილების შესაბამისად შემუშავდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების ახალი საქაღალდე;
- „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებისა და „მოსწავლეებისა და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ შესაბამისად მოდიფიცირებული იქნა გრიფირებული სახელმძღვანელოების შერჩევის მოდული.

ამასთან დაიწყო eSchool-ის სისტემაში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დამატების ფუნქციონალის შემუშავება და მოდიფიცირდა სკოლის ბარათისა და ადმინისტრირების მოდული. პარალელურად მიმდინარეობს დირექტორების არჩევნების მოდულის შექმნა/განვითარება.

- **მართვის სისტემის მონაცემთა ბაზების გამართვა და ინტეგრაცია**

განხორციელდება ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შემუშავების პროცესში.

- **ტრენინგების ჩატარება ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაზე**

განხორციელდება ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შემუშავების პროცესში.

- **მონაცემთა ანგარიშგების და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება**

  განხორციელდება ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შემუშავების პროცესში.

- **სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების სისტემის შექმნა/განვითარება**

შექმნილია გრიფირების ახალი ელექტრონული სისტემა, რომელიც პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. განხორციელდა სისტემის დანერგვა.

- **პროგრამული უზრუნველყოფის მოდულების კონტეინერიზაცია**

განხორციელდება ახალი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შემუშავების პროცესში.

- **განახლებული eSchool-ის შემუშავება**

განხორციელდება დონორის მხარდაჭერით, კონტრაქტორი კომპანიის მიერ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ტენდერის ფარგლებში წარდგენილი განაცხადების შეფასება.

- **eUni/QMS სისტემების ინტეგრაცია - RegAdmin ჩანაცვლება**

ხორციელდება უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eUni) შემუშავება. მიმდინარე პერიოდში განხორციელდა დაწესებულებების, პროგრამების, პერსონალის, სტუდენტების, საგნების მოდულების ანალიტიკური დამუშავება, დიზაინპროექტის შემუშავება. მიმდინარეობს დაწესებულების მოდულის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება.

ახალი მოდულების შემუშავების პარალელურად მიმდინარეობს სისტემაში გამოვლენილი ხარვეზების/პრობლემების აღმოფხვრა.

- **ზოგადი განათლებისთვის სასწავლო პლატფორმის (LMS) შექმნის ტექნიკური მხარდაჭერა**

„ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტის - საქართველო I2Q (IBRD)“ პროექტის ფარგლებში, გამოცხადდა ტენდერი ზოგადი განათლებისთვის სასწავლო პლატფორმის (LMS) შექმნისთვის. მიმდინარეობს შემოსული განაცხადების გადარჩევა გამარჯვებული კომპანიის გამოსავლენად.

- **სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შემუშავება**

განხორციელდება დონორის მხარდაჭერით, კონტრაქტორი კომპანიის მიერ, აღნიშნულს მოიცავს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) შემუშავების პროცესი.

შედეგების შეჯამება

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სტრატეგიული განვითარების გეგმა გაწერილია 2022 წლიდან - 2025 წლის ჩათვლით. შესაბამისად, გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელების ვადები განსაზღვრულია ინდივიდუალურად, თითოეული აქტივობისთვის 2025 წლის ჩათვლით. კონკრეტულ აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია მართვის სისტემასა და დონორ/კონტრაქტორ ორგანიზაციას შორის. დონორის მხრიდან საქმიანობის განხორციელების ვადები შეთანხმებულია მხარეებს შორის. თუმცა, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, დონორი/კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ აქტივობების გეგმით გაწერილ ვადებში შესრულება ან ამ ვადების ცვლილება დამოკიდებულია მასზე.

რაც შეეხება წარმოდგენილ წინამდებარე ანგარიშს, ის მოიცავს 2022-2023 წლების საანგარიშო პერიოდს, ამასთან საგულისხმოა, რომ გეგმა დამტკიცებულია 2022 წლის 14 სექტემბერს და მისი განხორციელება დაიწყო სექტემბრის თვიდან. შესაბამისად, ამოცანების შესრულების გარკვეული პროგრესი 2022 წლის ბოლოსთვისაც დაფიქსირდა.

საანგარიშო პერიოდში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რიგი აქტივობების ჭრილში დაფიქსირებულია პროგრესი, როგორც მათი ინიცირების კუთხით, ასევე ზოგიერთი აქტივობის შემთხვევაში, განხორციელების შედეგები თვალსაჩინო და ხელშესახებია. ხოლო, რაც შეეხება იმ აქტივობებს, რომელთა განხორციელებაც ჯერ არ დაწყებულა, მათი განხორციელების ეტაპის დაწყება დამოკიდებულია მათი განხორციელებისათვის აუცილებელი წინმსწრები საქმიანობების მიმდინარეობაზე და შესაბამისად იგეგმება ეტაპობრივად. იქამდე კი, მართვის სისტემისა და დონორის მიერ მიმდინარეობს აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები.